ქართული აზრი
GEORGIAN OPINION

№ 93 ნიუ იორკი, აპრილი 1973 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, APRIL 1973

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრაამ ლინკოლნი. 1865 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუ იორკი, აპრილი 1973 წ.

25 თებერვალი

(დასასრული. იხ. „ქ. აზრი“ № 92)

1923 წ. თბილისში, წითელი არმიის კავკასიის სარდლობის გაზეთმა „კრასნი ვოინმა“ გამოაქვეყნა თბილისის ოპერაციების აღწერილობა და სხვათა შორის დაადასტურა ს. ორჯონიკიძეს მიერ უფრო ადრე ნათქვამი, რომ თებერვლის 24-ს წითელმა სარდლობამ ლენინისგან დეპეშა მიიღო დაუყონებლივ შეეჩერებინათ სამხედრო ოპერაციები და უკან დაეხოათ. მაგრამ ქართველების მიერ სწორედ 24-ს ღამით თბილისის დაცლამ ზედმეტი გახადა ლენინის ბრძანების შესრულება და რუსები დაცლილ თბილისში შემოვიდნენ.

ამგვარად, ჯერ ერთი, თბილისის მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობის გამო, ხოლო შემდეგ ლენინის აღნიშნული ბრძანების გამო, უალრესად საინტერესოა, ვისი ინიციატივა იყო თბილისის დატოვება, მთავრობისა თუ მთავარსარდლისა?

ამ საკითხზე მე წამიკითხავს ყველაფერი, რაც ემიგრაციაში პასუხისმგებლობა დაკისრებულია. მაგ. მაზნიაშვილის მოგონებები. მომმისმენია მრავალი მხედრის და პოლიტიკური მოღვაწის და თვით გენ. კვინიტაძეს მოხსენებები.

ვეცდები უშეცდომოდ გადმოგცეთ მათი აზრები. მხედრები: პირველი მთავარსარდალი გენ. ოდიშელიძე, გენ. მაზნიაშვილი, გენ. ბაკრაძე. გენ. კონიაშვილი (გვარდიის ერთ-ერთი მეთაურთაგანი), გენ. ჩხეიძე და სხვები, ამტკიცებდნენ, რომ თბილისის დატოვების იდეა ეკუთვნის მთავრობას. ან უფრო სწორედ, პირადათ ნოე ჟორდანიასო.

უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის, როგორც კოლექტივის პასუხისმგებლობა უფრო ფორმალურია, რადგან გამორკვეულია, რომ მთავრობას არც ერთ თავის სხდომაზე ასეთი დაადგენილება არ მიუღია. მენშევიკური პარტიის ცნობილი ლიდერებიდან კარლო ჩხეიძე, ირ. წერეთელი, აკაკი ჩხენკელი და ევ. გეგეჭკორი ამ დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ და მაშასადამე ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ამიტომ, საკითხი არსებითად შეეხება ორ პიროვნებას, რომლებსაც ამ გადაწყვეტილების მიღება შეეძლოთ: ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილს.

ნოე ჟორდანია და მისი პარტიის მიმდევრები თბილისის დატოვების პასუხისმგებლობას მთლიანად გენ. კვინიტაძეს აკისრებენ. თავის უკანასკნელ წიგნში, მოგონებებში, ნოე ჟორდანია ამას კიდევ ერთხელ იმეორებს და დასძენს, რომ თბილისის დატოვების წინაღმდეგი მხოლოდ სპირიდონ კედია იყოო.

სპირიდონ კედიამ ამ საკითხზე თავისი მოგონება გამოაქვეყნა (თუ არა ვცდები 1933 წ.) და ამბობს: უკვე 16 თებერვალს, ე. ი. კვინიტაძის დანიშვნის დღეს, ჟორდანიას გადაწყვეტილი ჰქონდა თბილისის დატოვება და მისი გადაწყვეტილება დამფუძნებელ კრებას აცნობა ბენია ჩხიკვიშვილმაო. ამას დამფუძნებელ კრებაში დიდი მღელვარება გამოუწვევია და ფედერალისტების, ესერები, სხვიელების და ეროვნულ დემოკრატების ფრაქციებს აურჩევია საგანგებო დელეგაცია თვით სპირიდონ კედიას მეთაურობით; დელეგაციას ნოე ჟორდანიასთან საუბრის შემდეგ მისგან კატეგორიულად მოუთხოვია ეს განზრახვა უკან წაეღო. ნოე ჟორდანიას გაუმეორებია ბენია ჩხიკვიშვილის მიერ ერთხელ უკვე ნათქვამი: „ანდერძი კაცს არა ჰკლავსო“, მაგრამ ხანგრძლივი კამათის და კვინიტაძის აზრის მოსმენის შემდეგ, — რომ თბილისის დაცვა შესაძლებელი იყო, — ნოე ჟორდანია დათანხმებია, რომ თბილისი დაეცვათ. ეს მომხდარა 16 თებერვალს ღამით. გენ. კვინიტაძე აცხადებს, რომ მისი დანიშვნის მეორე დღეს, ე. ი. 17 თებერვალს ჟორდანიამ განუცხადა: თბილისის აუცილებლად დაცვა მხოლოდ გრძნობებს აყოლილი პოლიტიკოსების საქმეა. ჩვენ ჯარს სურამის უღელტეხილზე უკეთ შეეძლო გამაგრებაო“. ეს აზრი 23 თებერვლამდე ნოე ჟორდანიამ რამოდენიმეჯერ გაიმეორო. ხოლო როკი 23-ს ღამით მაცნობეს, რომ რუსული კავალერიის ნაწილები თბილისის ზურგში, მცხეთასა და აავსკლას შორის გამოჩნდნენ, მე მაშინვე ტელეფონით დაუკავშირდი ნოე ჟოდრანიას და მიღებული ცნობა გადავეცი. კარგა ხნის სირეზის შემდეგ, მან აღელვებული ხმით მიპასუხა: ბატონო გენერალო, იცოდეთ ერთი რამ, თუ მტერმა ჩვენი მთავრობა ხელში ჩაიგდო, ამის პასუხისმგებელი მარტო თქვენ იქნებით, მე ბერჯერერ გითხარით რაც უნდა გექნაოთ.“

მე ეს გავიგე, როგორც განმეორება მის მიერ არა ერთხელ გამოთქმული აზრისა — ამბობს კვინიტაძე, — და ვვეცი ბრძანება თბილისის დაცლისაო. კვინიტაძე ასახელებს მთელ რიგ მოწმეებს, რომლებიც ამ საუბარს დროს შეესწრნ მასთან იყვნენ და რომლებმაც ჟორდანიას ნათქვამი ისევე გაიგეს, როგორც მან გაიგო.

ასეთია ამ ორი უმაღლესი თანამდებობის პირის ნათქვამი. სად არის სიმართლე? ემიგრაციაში ორივე მხარე თანაბარის თავგამოდებით ამტკიცებდა თავის სიმართლეს და ერთ ნაწილს მხედრების ნათქვამი სჯეროდა, ხოლო მეორეს ნოე ჟორდანიისა. იმედი უნდა ვიქონინო, რომ ამ საკითხის გასარკვევად როდისმე უდავო დოკუმენტები აღმოჩნდება.

უფრო გარკვეულია მეორე საკითხი: შეზოგიერთმა კი ქართველ სტუდენტების აღრეულობაში ქართული ეროვნული ბუნება აღნიშნეს, მაშინ, როდესაც „სტუდენტური ახალგაზრდობა საბჭოეთის ხალხთა მეგობრობის მებაიირახტრენი უნდა იყვენო“-ო.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში მდგომარეობის ასეთი ფორმულირება სწორედ მაშინ ხდება, როცა ანტირუსული მოძრაობა გამოვლინდება ხოლმე რომელიმე ერში.

იმ დროს საქართველოს კომკავშირის პირველი მდივნი, — შეგარდნაძეს სიტყვიდან სჩანს, რომ კომკავშირმა სავსებით დაკარგა სტუდენტების იდეოლოგიური კონტროლი და ისიც შესაძლებელია, რომ ეს ორგანიზაცია (ე. ი. კომკავშირი) სტუდენტებთან ერთად. ერთ საქმეს აკეთებდაო.

კომკავშირის ყველაზე მაღალმა ფუნქციონერმა, პავლოვმა კი ავტორიტეტულად განაცხადა: ამიერიდან უმაღლეს სასწავლებლებში, მარტო ის სტუდენტი მიიღება, რომელსაც ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია მიავლენს“-ო.

როგორაც ვხედავთ, აქ სტალინი და მისი ელტი, სრულიად გამორიცხულია ხმარებიდან და მთელი დაწოოა გადაანილია „ბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე“, რაც ნორმალური ენით ეროვნულ მისწრაფებას ნიშნავს. ქართველ სტუდენტების „უწესო საქციელში“ ეროვნული მომენტი ვერ დამალა — დღეს „რაღაცის კომისარმა“, იმ დროს კი აკადემიის ეიცე პრეზიდენტმა ძოწელიძემაც — და იმავე წლის შემოდგომაზე მკვახედ დაიძახა: „ვის რაში უნდა ჯავახიშვილის, ჯანშიას, ინ-

გოროყვას და სხვათა ფეოდალური საქართველოს ისტორიები“-ო.

კრებლის ბატონებიც სწორედ ამას გაუმწარებია: ორმოცი წლის განმავლობაში რუს კომისრების ზედამხედველობით აღზრდილი ქართველი ახალგაზდობა, თურმე ვერ მოსწყვიტეს საქართველოს საამაყო წარსულს და მათში ვერ ჩაკლეს ჩვენი დიადი ისტორიის განჭვრეტის ინტერესი, ე. ი. საქართველოს ახალთაობა ვერ აკეთებს საბჭოთა მოქალაქის ათქვეფილ მასად.

არა რუს ერების გადაგვარების და გარუსების ცდა, არ დაწყებულა ლენინ-სტალინ-ხრუშჩოვ-ბრეჟნევით. ეს რუსული იმპერიალიზმის საფუძველი იყო და არის. წარსულში, ე. ი. მეფის რუსეთის დროს, ეს ხდებოდა დეკრეტებით და ეანდარმერიით. ხრუშჩოვმა მას მხოლოდ ფორმა შეუცვალა და ბრეჟნოვმა კი უფრო გაამეიერა.

ამ მრისხანე მომენტების გვერდს უვლის „საბჭოთა ხალხთა გამანთავისუფლებელი“ დონ ლევინი და „ტაიმსის“ „სპეციალისტი“ ჰარი შვარცი. მათთვის საბჭოთა კავშირში ეროვნული პრობლემა გადაწყვეტილია...

მაგრამ ჩვენთვის? ქართველებისათვის? ეს ხომ უმწვავესი საკითხია? როგორია ხედვა მას ქართული ეროვნული ემიგრაცია და როგორი უნდა იყოს ჩვენი რეაქცია? უნდა ავყვეთ მოსკოვის მიერ დაგეშილ, მოხეტიალეთ ქცეულ „მებურთავე-მოცეკვავეებს“ და ავიიფიფოთ მათში, თუ გავიმიჯნოთ მათგან და მტკიცედ დავიცვათ ისტორიისგან დაკისრებული უფლება- მოვალეობებეი?

ფაქტები ლაღადებენ... ფაქტები

(დასასრული. იხ. „ქ. აზრი № 92)

ჩვენ არ გვინდა ქართლის შუაგულში მცხოვრებ ოსების გარულება. ჩვენ გვინდა, რომ ისინი ოსებად დარჩნენ და ქართველებთან ერთად თავისუფლად ცხოვრობდნენ, მაგრამ არც ის გვინდა, რომ რუსეთის იმპერიალისტებმა ეს კუთხე პლაცდარმად გამოიყენონ საქართველოს წინააღმდეგ.

ისტორიული ალანეთი (ბერძნული სახელწოდებაა) ხოლო ძველ ქართულ წყაროებში ის იხსენიება, როგორც „ოვსეთი“ (რა თქმა უნდა გეოგრაფიულად და პოლიტიკურად ლაპპარაკია ჩრდილოეთ კავკასიაზე — მ. ლ.) დავით აღმაშენებლისა და დიდი თამარის მეფობის დროს საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში შედიოდა. მას შემდეგ, რაც ალანეთ-ოვსეთის მხარეი 12-ტე საუკუნეში საქართველოს დაუკავშირდა პოლიტიკურად, საქართველოს მეფეთ-მეფის ტიტულატურას დაემატა გამოთქმა: „ჩრდილოოსა მფლობელი“. საქართველოს მეფედ-მეფე ამ დროიდან მოიხსენიება, როგორც მფლობელი საკუთრივ საქართველოს ქვეყნებისა და ამა-

25 თებერვალი

(დასაწყისი იხ. 1-ლ გვ.)

გვეძლო თუ არა ჩვენი ქვეყნის დასაცავად მეტი ჯარი გვყოლოდა?

ქართული გენერალური შტაბის ფი დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის გამოანგარიშებით საქართველოს შეეძლო 70 ათასი მეომარი ყოფილიყო, —იარაღი და ტანისმოსი მხოლოდ ამ რიცხეს ყოფნიდა.

მაგრამ, როგორც დავინახეთ, ეს თეორიული ანგარიში თეორიად დარჩა და გასაჭირის დროს აღმოჩნდა სულ 12 ათასი მეომარი.

რა იყო ამის მიეზი? იქნებ ხალხმა წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას და არ სურდა ჯარში გამოსვლა? არავითარი მსგავსი. პირიქით, სწორედ მთავრობის ბრძანებით 1920 წლის ოქტომბერში მოხდა დემობილიზაცია

საქმე ისაა, რომ მოსკოვთან დადებული 7 მაისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღმოჩნდა არა მარტო დარიალის და მამისონის გამოსავლების ნეიტრალიზაცია, არამედ ქართული ჯარის დემობილიზაციაც. მოსკოვი დაბეჯითებით მოითხოვდა ამ პირობის შესრულებას. როგორც ეტყობა ჩვენი მთავრობა ცდილობდა მოსკოვისათვის საგაოცესოდ არავითარი საბაბი არ მიეცა და ეს პირობაც შეესრულა: დაშალა ქართული არსებული ჯარი.

გასაკვირი ის არის, რომ დემობილიზაციას გამოცხადებამდე, ჩვენს მთავრობას, ფრანგულმა დაზვერვამ გადასცა ერთი ფოკუმენტი, საიდანაც აშკარად ჩანდა, რომ მოსკოვი ამზადებდა თავდასხმას. მიუხედავად ამისა მთავრობა მაინც არ მოერიდა დემობილიზაციას.

მე მხედველობაში მაქვს გენ. ჰეკერის მოხსენება. წითელი ჯარის გენერალი ჰეკერი, ოფიციალურად საბჭოთა საელჩოს სამხედრო მრჩეველად ითვლებოდა. დიპლომატიური იმუნიტეტით დაცული, ის თავისუფლად დასეირნობდა თბილისში და სხვა ქალაქებშიც. ამით მას, რასაკვირველია, კარგად უსარგებლია. შეუდგენია გეგმები, რუკები და თავისი მოხსენება, სადაც მითითებულია თუ სად, რა დროს და როგორ უნდა დაიწყოს საქართველოს დასაპყრობი ოპერაციები, — ეს მოხსენება გაუგზავნია მოსკოვში. მე არ ვიცი როგორ და რა გზით, მაგრამ ეს დოკუმენტი ხელში ჩაუგდია ფრანგულ დაზვერვას. ფრანგებმა მაშინვე ჩვენს მთავრობას გადასცეს. ეს მოხდა 1920 წლის ივლისში. სწორედ ახალი დასრულებული იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ აზერბაიჯანის მიმართულებით წარმოებული სამხედრო ოპერაციები.

როგორ იმოქმედა ამ დოკუმენტმა ჩვენს მთავრობაზე?

როგორც ეტყობა ამისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ, რადგან ოთხი თვით უფრო გვიან, დეკემბერში, როგორც ვთქვით, ცხადდება საერთო დემობილიზაცია. ამას ნოე ჟორდანია, თავის მემუარებში, აბრალებს სამხედრო კომისიის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელს, (იხ. მისი მემუარები, გვ. 177-ტი), მაგრამ ეს არ უნდა იყოს მართალი, რადგან აკაკი ჩხენკელი ამ დროს საქართველოში არ იყო.

ყველი ამის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ჩვენი დამარცხება, ჩვენივე წინდაუხედავობის შედეგია და დანარჩენი „არგუმენტები“ მხოლოდ შემდეგ შეთხზული ამბავია.

აი, ჩემის აზრით, თავიანი მიზეზი, რომ, როცა მტერმა ომი დაიწყო, ჩვენ იარაღ ქვეშ აღმოგვაჩნდა მხოლოდ 12 ათასი კაცი.

მე ამას ვინმესთან საუოლმეიკოდ, ან კრიტიკის სიყვარულით არ ვამბობ. ჩემი მიზანი სულ სხვაა: ხშირად გამიგონია — ბატონო რუსეთი იმოდენა ქვეყანაა, რომ თუ მოინდომებს მუდამ დაგვიყრობს. მაშინ რომ არ დავეკვართნო, მერე მაინც გადაგვყოლაპავდაო.

მე ამ ფატალურ, სასოწარკვეთილ აზრთანა მაქვს საქმე. ეს აზრი მიმანიჩია უადრესად მავნედ ჩვენთვის, — ჩვენი ეროვნული თავდაცვისა და სულიერი გამძლეობისათვის უდიდეს საფრთხედ. ეს არის სულიერად კაპიტულაცია ბრძოლის დაწყებამდე.

არ არის მართალი, რომ რუსეთი ადვილად, და თავის სურვილისამებრ, მუდამ შესძლებს საქართველოს დაპყრობას. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ჩვენ ენახეთ, რომ ეროვნული და მრავალეროვნებრივ ნამ რუსეთმა ფინეთი ვერ დაიპყრო, ჯარისაკცთა რიცხვით, იარაღის რაოდენობის უპირატესობა ხომ აშკარად რუსეთის მხარეზე იყო! მაშ რამ გადაარჩინა ეს პატარა ერი, როგორ გაუძლო რუსეთს?

მეპროლთ სულის სიმტკიცემ, ბრძოლის აუცილებლობის უარყვამ შეგნებამ, საკუთარი ღირსებისა და უნარისადმი ნდობამ. ქვეყნის ბრწყინვალე მეთაურებამ და სამხედოთა დაცვის ერთსულოვანმა გრძნობამ, ფინეელი ჯარისაკცები გმირებად აქცია და ეს გმირები მრავალად დაიხოცნენ, მაგრამ საკუთარი ქვეყეყანა დაიცვეს და გადაარჩინეს.

მეორე მაგალითია ბერძნების და იტალიელების ბრძოლა. იტალიამ ნეგუსის ვეებერთელა იმპერია, მიუხედავად დიდი მუნეზრივი და ელმოტური დაპპყოლებისა, — 7 თვეში მთლიანად დაიპყრო, ხოლო საბერძნეთთან ომში, — მიუხედავად იარაღით და ჯარისაკცების რაოდენობით უპირატესობისა — სირცხვილი ჭამა.

აქაც საკითხი გადაწყვიტა მეომართა სულის სიმტკიცემ.

მაშასადამე, ხელის ჩაქნევა და თქმა, რომ რუსეთთან დაპირისპირებაში წინასწარ განწირულები ვართ, არ არის მართალი და ეს სამშობლოს დაღალატინებას ურდის.

საქართველოს ისეთი ბუნებრივი და სტრატეგიული მდებარეობა აქვს, რომ რუსეთი მრთლაც მილიონნობით უ ნ დ ა მოგვიდგეს და მილიონობით მსხვერპლი გაიღოს, რომ ჩვენს მთებსა და ხეევებში ქართველ მეომრებს სძლიოს, — ქართველ მეომრებს, რომლებიც ფინელებივით უოუეკად ექნებათ გადაწყვეტილი სამშობლოს დაცვა. თუ ამ შეგნებას, ამ სულს, ქართველ ადამიანში გამოაღვიძებს და განამტკიცებს ქვეყნის მეთაურობა, მაშინ ჩვენ ვეროვინ ვერ დაგვიპყროს. დღეეანდელი მოსახლეობის რიცხვის მიხედვით საქართველოს 350-400 ათასი მეომარი შეუძლიან ჰყავდეს. თუ ამ ჯარისაკცებს საჭირო სული და იარაღი ექნებათ, საქართველო აუღებელ ციხე-სიმაგრედ იქცევა. არც ის უნდა დავიგიწყოთ, რომ რუსეთს კავკასიის ფრონტზე 5-10 მილიონნი კაცის მოყვანა და მისი გამოყენება არ შეუძლია. — ადგილმდებარეობა არ იძლევა ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარის გაშლის საშუალებას.

აი, ამიტომ ვარ წინააღმდეგი რუსეთის წინაშე წინდაწინვე სულიერად კაპიტულაციისა. 1921 წელში დავმარცხდით არა იმიტომ, რომ თავდამსხმელთა არმია მრავალრიცხოვანი იყო, არამედ, და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არავითარი არმია არა გვყავდა.

ეჭვის შეტანა არ შეიძლება, რომ 1921 წ. 20-30-თი ათასიან ჯარს შეეძლო საქართველოს დაცვა და მისი გადარჩენა.

დასასრულს კიდევ ვიმეორებ, რომ წარსულის შეცდომების ცოდნა აუცილებელია, რათა მომავალში მსგავსი რამ არ განმეორდეს.

5. ჟორდანას ადგილზე რომ სხვა ვინმე ყოფილიყო. შეიძლება იგივე შეცდომები, ან კიდევ უფრო უარესიც ჩაედინა, მაშინ ამაზე ვილაპარაკებდით. მაშასადამე, ჩვენ გვაინტერესებს არა პიროვნება, ან პარტია, არამედ პიროვნებებზე და პარტიებზე უფრო მაღალი და მნიშვნელოვანი, — ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები.

არავინ არ იკის ახლო მომავალი რას მოგვიტანს. 1913 წელს რუსეთის მთელ იმპერიაში დიდი ზეიმით იდღესასწაულეს რომანოვების დინასტიის არსებობის 300 წლისთავი. გარეშენელად რუსული იმპერია ძლევამოსილი ჩანდა. ვინ იფიქრებდა, რომ მას მხოლოდ ოთხი წლის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი? ბოლშევიკური იმპერიის შინაგანი სიუსტის ნიშნები დღეს გაცილებით მეტი ჩანს, ვიდრე 1913 წელს რევოლუციის ნიშნები ჩანდა.

ახლებული მდგომარეობა, ჩვენ, ქართველებსაც, ბევრ რამეს გვავალებს: განსაკუთრებით სიფრთხილეს, პასუხისმგებლობის შეგნებას და ძველი შეცდომების თავიდან ასაცილებლად, მეტ წინდახედულებას, ვიდრე წარსულში გამოვიჩინეთ.

თუ ქართველი ხალხი მტკიცედ გადასწყვეტს თავის ქვეყნის, ოჯახების, და ეროვნების დაცვას, თებერვლის ტრაგედია ჩვენს ისტორიაში აღარ განმეორდება.

† ალ. ცომაია

საბჭოთა საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ წიგნთა გამო

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ №91)

ქართული შტაბის ორგანიზაცია, არსებული პრობლემების შესაფერისად, ოთხი განყოფილებით მოეწყო: 1. სამოქალაქო, 2. პოლიტიკური, 3. ფინანსიურ-მომმარაგებელი, და 4. სამხედრო.

შტაბის უფროსი უნდა ყოფილიყო სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელი, მაგრამ მან უარი განაცხადა და შტაბს ხელმძღვანელობდა ოთხი განყოფილების მეთაურთა საბჭო. საერთო მნიშვნელობის საკითხები მათ შორის ხმის უმრავლესობით წყდებოდა.. როგორც უკვე აღინიშნა,შტაბის წევრების არჩევა მოხდა დაინტერესებულ მხარეთა შორის ხანგრძლივი თათბირის შემდეგ. ე. ი. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის და სხვა და სხვა ჯგუფების ერთის მხრივ და გერმანულ უწყებების შორის მეორე მხრივ. სამოვე დროს როგორც „შარვანშა და შაპანშა და აღმოსავალისა და ჩრდილოისა მფლობელი“ (იხ. სიგელი გიორგი III-ის, საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტომი 3, დამატება. 1926, გვ. 2. — ამოღებულია პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულდან“, ტფილისი, 1954, გვ. 259). დღეს ამ ე. წ. სამხრეთ-ოსეთის „სახელმწიფოში“ ქართული სოფლებია მეტი სათვალავში, ვიდრე ოსური. აი, როგორ იქცევა რუსეთის იმპერია. მოკიდებული ლენინ-სტალინეთი იგი იძენს ყველგან ტერიტორიას და აფართოვებს თავის საზღვრებს. გერმანიის წაართვა ფილოსოფოსი კანტის ქალაქი — კენისბერგი და ის მონათლა კალინინგრადად. რუმინეთს წააგლეჯა ბესარაბია და ბუკოვინა და საქართველოს ეროვნული ტერიტორიას ანიავებს.

რეცენზენტების აზრით აგაიანის ხსენებული ნაშრომი გაეღენთნილია ინტერნაციონალიზმისა და ლენინულ ხალხთა მეგობრობის სათანადო გრძნობებით. ამის დამახასიათებელია თურმე წოგნის ავტორის გამონათქვამი: „სულიერი სიახლოვე ჩვენი ხალხებისა აღმეტ ნილია ხელოვნებაში, ლიტერატურაში და განსაკუთრებით არქიტექტურულ ძეგლებში. საერთო გამაერთიანებელი მოტივი ამიერკავკასიის ხალხებისა ძლიერია. მაგრამ სამწუხაროდ, ცალკეული მკვლევარები ხანდისხან იწუვებენ დავას ამ ძეგლების კუთვნილების შესახებ ამა თუ იმ ხალხზე . . . და ისენი, ვინც ამ ერთიანებლებზე- სტუმს უმთავრესად ხაზს უსვამენ იმას, რაც ჩვენ გვყოფს ერთიმეორისაგან, მოქმედებენ ისტორიული ფაქტების წინააღმდეგ. დგებიან რა ძმური ხალხების ისტორიული წარსულის ფალსიფიკაციის გზაზე“.

ამაზე იტყვიან ხოლმე ჩვენში: „ჩემი შენ გიიხარი და გული მოგიკალიო“. მეტს არ გავიგრძელებ ამონაწერების მოყვანას, რადგან ეს გამონათქვამი მთელი ასი პროცენტით ეხება აკადემიკოს აგაიანსა და მისი ნაშრომის ერთ-ერთ დამფასებელთაგანს ხარმანდარიანს. ამაზე მეტი ისტორიული ფალსიფიკაცია განა შეიძლება, როცა აგაიანის ხსენებული შრომის დამფასებელი ხარმანდარიანი „ამტკიცებდა“, რომ ქართველები აფხაზეთში ჩასახლდნენ სომხებთან, რუსებთან, ბერძნებთან და სხვებთან ერთად 19-ტე საუკუნის დასაწყისშია და სხ. (იხ. ამაზე ჩვენი წერილი „ქართული აზარში“ ნომ. 88, ნოე იორკი).

რეცენზენტები თავიანთ ვრცელ მიმოხილვაში ქებადიდებას ასხამენ ლენინის „ბრძნულ“ ნაციონალურ პოლიტიკას, ხოლო ლენინური პოლიტიკა ანტიქართულია და საქართველოს ეროვნულო-ისტორიული ტერიტორიების დასაწაწყლებლად არის გამოყენებული. ამ პოლიტიკის შედეგად საქართველოში მართლაც

რომ ლენინურად, რუსულ თვითმპყრობელურად გადასჭრეს ეს საკითხი.

ქართველმა კომუნისტებმა, ბუდუ მდივანმა, ფილიპე მახარაძემ, მამია ორახელაშვილმა, უფრო თავგამოდებით კი სტალინმა და სერგო ორჯონიკიძემ, მოსკოვის კარნახით, მართლა „იშვიათად“ გადასჭრეს ეროვნული საკითხი: ჯერ ერთი თურქეთს გადასცეს ჩვენი ეროვნული ტერიტორიის დიდი ნაწილი. შემდეგ არც ჩვენი მეზობლები დასტოვეს გულნაკლულნი და პირდაპირ ხელში მიარჭეს საინგილო, დღეს ზაქათალის ოლქად წოდებული. ი. რას სწერს ჩვენი თვალსაჩინო ისტორიკოსი დიმიტრი ბაკრაძე ინგილოების შესახებ: „ინგილოები კახეთის ნაწილს შეადგენს. ეს ძველი „გალმა-მხარია“, რომელიც 17-ტე საუკუნის პირველ ნახევრამდე ბედნიერად ცხოვრობდა, მაგრამ შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ ლეკებმა თავი აიშვეს და პირველ რიგში უახლოესი ქართული მიწა-წყლის აოხრება იწყეს . . .“ (იხ. ლეონან ფრუტიძის „ეიმიერი ბაკრაძე და საქართველოს ეთნოგრაფია“, „მნათობი“ ნომ. 2, ტფილისი, 1972, გვ. 142).

კიდევ ერთი მაგალითი: ამ ტერიტორიის კუთვნილობაზე ლაპარაკობს 1921 წლის 7 მაისის ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა საბჭოთა რუსეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის. ხელშეკრულების 4-ხე მუხლში ნათქვამია: „რუსეთი ვალდებულებას იღებს უდავოდ იცნოს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შავი ზღვის გუბერნიისა, რუსეთის ყოფილი იმპერიის შემდეგი გუბერნიები: ტფილისის, ქუთაისის და ბათომის, მისი ყველა მაზრებითა და ოკრუგებით„ აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგები“

წარმოდგენეთ მკითხველო, არც საბჭოთა აკადემიკოსი ბ. ხაჭაპურიძე უარყოფს, რომ ეს მხარე საქართველოს ჩამოშორეს 16-ტე საუკუნიდან და ეხლა შედის აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში. ზაქათალის „რაიონის სახელწოდებით. (იხ. ბ. ხაჭაპურიძე, შრომები, ტ. 2, ტფილისი, 1958, გვ. 37).

ჩვენი ისტორიული სამშვილდედანაც, სასომხეთის ჩამოუჭრეს დიდი ლუკმა. ეს ადგილებია: ლორი, ალავერდი, ახტალა, სადაც სპილენძ-ვერცხლის მადნებია. სხვათა შორის ხაჭაპურიძეს აქაც „წამოსცდა“ სიმართლე: ეს რაიონები ამ ჟამად წარმოადგენს სომხეთის სსრ-ის შემადგენელ ნაწილსო.

ეს რაიონები ყოველთვის საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა, როგორც ქართველებით დასახლებული მიწა-წყალი. „შეფე ერეკლეს მშვენიერად ჰქონდა. გაგებული საქართველოს ბუნებრივი სამდიდრის მნიშვნელობა, განსაკუთრებით მისი მაღარიების მნიშვნელობა . . . მან სპეციალურად მოიწვია აკადემიკოსი გულდენშტეტი, რომელმაც ბორჩალო მოიარა . . . 70-იან წლებში ერეკლემ განაახლა ოქრის, ვერცხლისა და სპილენძის მოპოვების საქმე ახტალისა და ალავერდის სამადნიერში. მარტო ახტალის ვერცხლის მაღარო ზაზნის აძლევდა მოგებას 60 ათასი მანეთის ოაოდენობით . . .“ (იხ. გერონტი ქიქოძე, ერეკლე მეორე).

ასე გასაჩეჩურეს ჩვენი ეროვნული ტერიტორია „მარცნე“ და „მარკვნე“.

რეცენზენტები აღნიშნავენ, რომ აგაიანის ნაშრომი გამიზნულია ნაციონალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ. ვინ არიან ეს „ნაციონალისტები?“ ალბად ქართველები. რადგან თვითონ აგაიანები და ძმანი მათნი ვამტკიცულნი არიან „ლენინურ-ნაციონალური“ პრინციპებით და რა ენოდებათ საქართველოს ტერიტორიის გაფლანგვა! ან ასეთი ადამიანები თავს დებენ ხალხთა მეგობრობაზე. ასეთი ადამიანები ინტერნაციონალისტები არიან, ხოლო ვინც თავიანთ ეროვნებას დაიცავენ, ისენი ნაციონალისტები და ზოვინისტები არიან. აქვე უნდა მოვაგონო აკადემიკოს აგაიანს, რომ ნაციონალიზმი ეროვნებაა და არც ისე საშიშარია ეს სიტყვა, როგორც ეს ჰგონიათ „ინტერნაციონალიზმის“ ჭურჭში გახვეულ ზოვინისტებს.

დიდი მეფეთ-მეფე დავით აღმაშენებლისა და თამარის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ნაციონალური იო. ნაციონალიზმის მთავარი პრინციპია ერთვნულად მონათესავე ტომთა ეროვნული გაერთიანება, ქართველ მიწა წყალზე და ეროვ ერთ ეროვნული სახელმწიფოს შექმნა. განა საქართველოს სამეფო მრავალეროვანი არ იყო და ამის გამო იქ იდევნებოდა არაქართული ელემენტები? ეს ხომ უცხოა ქართული ნაციონალიზმისათვის. სიძულვილი და მტრობა არ იცის ქართველმა ერმა. სიძულვილი და მტრობა გარეგან შემოტანილია. ამას სჩადიოდა ძველად მეფის რუსეთი, ამასვე იმეორებს, ახალი ლენინური რუსეთიც.

განა არ უნდა ესმოდეს ჩვენი კარის მეზობელს, რომ „დაჰყავე და იბატონეს“ პოლიტიკა მავნებელია, არა მარტო ჩვენთვის. არამედ სომხებისთვისაც?

დიდმა. მგოსანმა და მოაზროვნემ, ეაკაფშაველამ თავის ლექსში, სამშობლოს მთლიანობისათვის ბრძოლა შემდეგი სიტყვებით გამოხატა;

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ნურც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.“

მინდია ლაშაური

საბჭოთა საქართველოში გამოცეული ზოგზეერთ წიგნთა გამო

(დასაწყისი იხ. 2-რე გვ.)

ნათ, ზოგი კი გ. მაღალაშვილის განყოფილებაში შეიყვანეს, რაც მისი ჯგუფისთვის საზარელი შემტანა იყო.. სხვათა შორის, ესტრაფშვილ ჩამოყალიბდა ქართული ცეკვა-სიმღერების გუნდი დავით კაკაძის ხელმძღვანელობით, უმეტესად გერმანული წრეებისათვის ქართული კულტურის „საპრიპაგანდოთ“.

ექ. გ. მაღალაშვილი საუცხოოდ აღზრდილი, განსწავლული და გულკეთილი ადამიანი იყო. მან მოუნახოს უნივერსიტეტი დაამთავრა და საექიმო პრაქტიკის დიდი საშუალება ჰქონდა; გარდა ამისა მიიღო დიდი მამული ბავარიაში, შექმნა ოჯახი და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო. მოუხდავად ამისა, იმის დაწყებისთანავე მამულიშვილურმა გრძნობამ დასძლია და ამ სახიფათო საქმიანობაში ჩაერია.

მისი რწმენით გერმანელები, აღრე თუ გვიან, საქართველოს დამოუკიდებლობას იცნობდნენ და დამოუკიდებელი საქართველო გახდებოდა იმ „ახალი ევროპის“ წევრი, რომელიც ომის შემდეგ გერმანიის ხელმძღვანელობით შეიქმნებოდა.

გ. მაღალაშვილს მიერ ჩატარებულმა საქმიანობამ დიდათ შეუწყო ხელი აღმოსავლეთ სამხინატოს ბაკელების სფეროში მოქცეულ ქართველების გერმანელ მუშა მოსამსახურეთა პ ი რ ო ბ ე ბ თ ან გათანსწორებას; იმ დროინდელ გერმანიაში ეს უძნელესი იყო. მაღალაშვილს საქმიანობაში ეხმარებოდა მისი სტუდენტობის მეგობარი პროფ. ს. ნიკურაძე, რომელიც მას მინისტრთან ზურგს უმაგრებდა. მოგვიანებით „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციამ მაღალაშვილი თავის „მოურავად“ აირჩია.

ისიც აღსანშნავია, რომ გ. მაღალაშვილი საკმაოდ იზარებდა და მხარს უჭერდა შტაბის სხვა წევრებს, რომლებიც ცდილობდნენ და კიდეც მოახერხეს, ქართველ ებრაელების გადარჩენა. (იხ. საბუთი № 5).

გ. მაღალაშვილს და მ. კედიას შორის, დასაწყისში აზრთა დიდი სხვაობა არსებობდა, რამაც ზოგიერთი კონფლიკტი წარმოშვა, გარნა შტაბის დაარსების შემდეგ, საერთო საქმის უანგარო მიძღვნილობამ ორივე გააერთიანა და ომის დასასრულამდე და მას შემდეგაც მეგობრებად დარჩნენ.

ომის ბოლო ხანებში, აღმოსავლეთ საქმეთა მინისტრმა, თითქმის ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ერთ-ერთ ადამიანს, ებრაელ ინტერნაციონალ ებრაელ ებრაელ ებრაელ

ჯვარის მონასტერი იერუსალიმში

„ქ. აზრის“ რედაქცია ულრმეს მადლობას მოახსენებს ბ-ნ თეიმ. ბაგრატიონს, რომელმაც გადმოგვცა იერუსალიმში ინგლისურ ენაზე გამომავალი ჟურ. „ქრისტიანული ცნობები ისრაილიდან“.

***

მონასტერი წარმოადგენს დიდ ოთხ კუთხედ შენობას, რომელიც წაგავს უფრო ციხე-სიმაგრეს, ვიდრე მშვიდობიან ღვთის მსახურებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ სამლოცველოს. იგი გარშემოვლებულია მაღალი კედლებით და მისასვლელი გზა დაცემულ ადილზეა.

ამგვარ სტრატეგიულ ადგილებში შენდებოდა უწინ მონასტრები და ამით იცავდნენ თავს და მონასტრებს ღმრთის მსახურების ქურუმები, და კერძოდ, ქართული მეცნიერების მოამაგე ბერ-მონაზნები.

***

„ქრისტიანული ცნობის“ რედაქტორი დრ. ვარდის მიერ გამოქვეყნებული წერილი ძველი და მიძღვნილია უფრო ჯვარის მონასტრის გარშემო გავრცელებულ ლეგენდებს. მაგრამ, თავისთავად, სასიამოვნო და დასაფასებელია უცხოელის მიერ მონასტრისადმი გამომჟღავნებული ინტერესი.

ქსნის საერისთაო და მისი

ნშეს წინააღმდეგ, მაგრამ ვერც ეხლა ავნეს რა მის მიუვალ ციხეებსა, თუმცა გარეშო სოფლები ერთიანად ააოხრეს. მაშინ განრისხდა ფრიად უძლეველი შაჰნადირი და მოთმინებიდან გამოსულმა, დიდძალი ჯარი დაძრა ამ ურჩი ფეოდალის ასალაგმავად. თან უბრძანა: „თუ დამიჭიროთ შანშე, ყოველი თქვენი საწადელი აღვასრულოცო“. ამასთან ქართლის ვექილს, გივი ამილახორს და სხვა წარჩინებულთ მრავალი დაპირება მისცა; აღუთქვა აუტანელი ხარკის შემცირება და სხვა შეღავათები, ხოლო გივის დაპპირდა, თუ ის შანშეს დაამარცხებდა ქსნის საერისთაოს მას მისცემდა. გივი ამილახორს გვერდით ამოუდგნენ მორიგი შურისძიებით შეპყრობილი არაგვის ერისთავები.

მათ სამი მხრიდან შეუტიეს შანშეს სიმაგრეებს „უკვეს იერიში, აოხრეს ქსანი, დაწვეს და დაატყვევეს და ამოწყვიტეს ურიცხვი, დააქციეს ციხეები, ან საცა კოშკი იყო, ორსად გაუშვეს შენობა“. ასეთ მძაფრ შემოტევას ვეღარ გაუძლო შანშემ, რომელიც ცოლ-შვილით აქ შეხიზნულიყო და გადაეიდა აწერის ციხეში. მაშინვე მივიდნენ არაგველნი და სპარსეთის ჯარები ღამითვე და შემოადგნენ გარს. „ვეღარა სძლო შანშემ, გაიპარა ციხიდან, თავისი ძმა იესე და მცირე რამ კაცნი თან გაიტანა, შეიარა ხეობაზე, მივიდა ახალციხეში... შეიწყნარეს პატივით ესენი და დააყენეს ქალაქსა შინა... მიიტანეს ფილით ეერიში აწერის ციხეზე და აიღეს. დიდათ შესწუხდნენ, რომ შანშე და იესე იქ ვეღარ იპოვეს, გაოხრეს ყოველივე და ციხე მოთხარეს“.

აი, ამ უმძიმეს მგომარეობაში მყოფი შანშეს და იესეს მეუღლეები გამოიყვანეს ციხიდან. თეიმურაზმა თავისი დის შვილი ქეთევანი კახეთში დედოფალ თამართან გადაყვანა, ხოლო შანშეს მეუღლე კი თბილისში, ვით პატიმარი დაასადგურეს. ამ დამარცხების შემდეგ დაპირების თანახმად, ქსნის საერისთავო ზვიად და მხნე გივი ამილახორის ხელში გადავიდა. მაგრამ განაწყენები ქართლი ამან ოდნავათაც ვერ დაამშვიდა... მალე ურჩ შანშეს მომდრეკი გივი, თვითონ განდგა და შაჰნადირს მდგომარეობა გაურთულა.

განსაკუთრებით საქართველოს გული, ქართლი გააჩანაგა მაშინდელმა შინაურმა ომებმა. ქვეყანა უდიდეს ეკონომიურ გასაჭირში ჩავარდა. გარდა იმისა, რომ მისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება მუდმივი განსაცდელის რკალში მოექცა.

მაშინდელ ეკონომიურ მდგომარეობაში გასარკვევად საკმარისია ჩვენი მემატიანეს შემდეგი ცნობა: „ქართლში პური ისე ძვირი იყო, რომ თქვენმა მზემა ბევრჯერ ენახეთ ბალახის კუჭკას გაახმობდიან, დაფქვიდენ და იმას სჭამდნენ... მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გადაიხვეწა“-ო.

მაშინდელ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას ნათლად წარმოვიდგენთ ერთ ნაყიდობის დოკუმენტით, რომელიც მოყვანილია „საქართველოს სიძველენის“ მესამე ტომში. ამ „ნასყიდობის წიგნში და სიგელში“, რომელიც მამაცანა შალუაშვილს ჯავახიშვილ მდივნისათვის მიუცია ვეითხულობთ: „.. .მას ეამს, ოდეს დამეპირა და შიმშილისაგან ილაჯი აღარ მქონდა და მოგყიდე ჩემი შვილი პაპა...“ და სხ. ქართულ პატრიარქალურ ოჯახურ მდგომარეობისათვის ამ სახის დოკუმენტი სრულიად უჩვეულოა და ყველაზე მეტყველი.

მაგრამ დაუბრუნდეთ ძმების და მათი ოჯახის თავგადასავალს.

ნადირშაჰმა მიიღო რა შანშე-იესეს ახალ ციხის ფაშასთან შეხიზნვის ცნობა, მათან საგანგებო დესპანები აფრინა და ფაშას განმდგარ, მოღალატე ერისთავების გადაცემა სთხოვა, მაგრამ იცოდა რა ოსმალეთის კეთილგანწყობილება და მფარველობა ქსნის ერისთავებისადმი, დიპლომატიურ ხერხს მიმართა. შაჰი ოსმალეთის ვასალს აუწყებდა, რომ სწორედ იმ ხანებში იმერეთის მეფეზეი ალექსანდრე, რომელმაც თურქეთის მეფეზეთან ტახტი დაკარგა, მასთან იმყოფებოდა და ძველი მდგომარეობის აღსადგენად მას დახმარებას სთხოვდა. ახალციხის ფაშას დესპანები აცნობებდნენ, რომ შესაძლოა შაჰმა საჭიროდ დაინახოს, უსამართლოდ დევნილ ალექსანდრე მეფეს ჯარებით დაეხმაროს და იმერეთი კვლავ შემოუმტკიცოს.

ახალციხის ფაშამ შაჰის რაყამი კარგად ამოიკითხა და მყისვე შანშეს და იესეს დაეჭერის და შაჰთან წარგზავნის ბრძანება გასცა.

„თავზრო დამეცეი ამბავი რა შეიტყო შანშემ“, გვაუწყებს პაპუნა ორბელიანი, „ორივ ძმანი შეეცავდნენ ციხეში და შეეხიზნნენ ეინგეჩარი“. არა ენებათ მიცემა ენგიჩარებს... მაშინ მივიდა თვითონ ფაშა და გამოიყვანა ძალით და მისცა ორივ ძმანი და კაცნი მათნი; დასვეს კისერთა მათსა ხუნდნი. შეუყარეს ბორკილნი ხელთა და ფეოხთა და ეგრე წამოიყვანეს ქალაქსა თბილისისასა“. ამ დროს ნადირშაჰი სალაშქროდ იმყოფებოდა, მოახსენეს ერისთავთა მიყვანა, ბრძანა „დაბორკილება მათი და შეეყვანა დარუბანდისა ციხესა. მცირეთა ხანთა გაისტუმრა ძმანი (შანშე და იესე) მაშათს პატიმრად და უბრძანა მათი ცოლ-შვილიც იქ ჩამოეყვანეთ: მოვიდა ჩაფარი, ყულარაღასის ცოლი (ქეთევან) კახეთს მეფე თაიმურაზის სახლში იყო და იქედან ჩამოიყვანეს და შანშე ერისთავის ცოლი ქალაქში ჰყავდათ. ორნივ მაშინვე გისტუმრეს და შეეყარნენ ქმრებსა თვისსა“. და ჩვენი ისტორიკოსი ამ ორი უდანაშაულო ქალის ბედის ტრიალზე დასძენს: „ქსნის ხეევის სანაცვლოდ დიმკეიდრეს ხორასანონ“. (იხ „ქართლ. ცხოვრება“, გამოც. ზ. ჭიჭინაძესი გვ. 61). ძლიერმა ნადირშა ამრიგად არა მარტო თავისი წადილი აისრულა და ურჩი ერისთავები შორეულ ხორასანს გადაასახლა, სადაც დაუცხრომელ ქართველების მრავალი მებრძოლი წარგზავნა ოჯახებით, არამედ მან დასავლეთ საქართველოშიაც თავისი ნება განამტკიცა და არც ალექსანდრე მეფისათვის მიცემული სიტყვა გასტეხა.

შაჰმა ერისთავთა სამაგიეროდ „ახალციხის ფაშას მართლა წარუგზავნა მეფე ალექსანდრე, მაგრამ თან ისეთი რაყიმი აახლო, რომ გულწასული ფაშა იმერეთის ყოფილ მეფეს „დიდროვანის კაცებით და კარის გამგეებით დახვედა და მოართვა ქურქი სიასამურისა. მაშინვე აღასრულა ბრძანება ხელმწიფისა და გაატანა ჯარი და დაამინა იმერეთი“. ასეთი იყო „გაცვლა“. ხოლო ქსნის ერისთავების მწარე ბედს ხორასანში მისვლამდე კიდევ ერთი საშინელებაც თან დაერთო, რამაც მათი ზვიადობა სამდგამოდ დამარხა.

ალ. ორბელიანი გვაუწყებს, რომ შანშე-იესემ ხორასანში გადასახლებისას, მიუხედავათ სასტიკ პირობებისა, მაინც მოახერხეს გაქცევა. „ამ უბედურებაშიო“ ამბობს ისტორიკოსი, „არც იმედი გადიწყვეტა, თავისი ენერგია არ დაჰკარგა, გზაში როგორღაც გზა იპოვნა და გამოიქცა, მაგრამ ყიზილაშები მოეწევნენ და გაჯავრებულმა ნადირშაჰმაც თვალები დაათხრევინა იმას და მის ძმა ესესესა“. (იხ. „მეფე ერეკლეს ცოცოტა ანბები“, გვ. 47). ამავე საშინელებას „ქართლის ცხოვრება“ ასე გადმოგვცემს: „ეს ამბავი მოვიდა ქვეყნადამ, შანშე ერისთავს და მის ძმას, ყულარაღასას იასეს ხელმწიფემ ორთავე თვალები დასთხარა, რომელი იყვნენ ხორასანს თახსირად“ ნამდვილად არა სჩანს ტყვეობიდან გაქცევის ცდა ხორასანში ყოფნისას მოუხდენიათ შანშეს და იესეს, თუ, როგორც ალ. ორბელიანი გადმოგვცემს, გადასახლების დროს, გზიდან გაპარვისა და ხელახლა შეპყრობის შემდეგ.

(გაგრძელება იქნება)

† აკაკი პაპავა

უკანასკნელი ერისთავები

დრ. ვარდის აზრით ჯვარის მონასტრის აშენების და ადგილმდებარეობაზე ჩვენამდე მოღწეულია ორი ლეგენდა.

1-ლი: თითქოს ადამმა, იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, ცნობიერების ხეს მოსტეხა ერთი პატარა ტოტი (ჩხირი), პირში ჩაიდო და სამუდამოთ მიიძინა. აქედან გაიზარდა უზარმაზარი ხე, რომლისაგანაც შემდეგ გაკეთეს ჯვარი, რომელზედაც მაცხოვარი აცვეს.

2-რე ლეგენდაა: ლოთმა შესცოდა რა შემომომქმედს, მისმა მოძღვარმა უბრძანა მას შეცოდების ადგილას, დაერგო სამი სხვადასხვა ჯიშის ხის ნერგი, იქ სადაც დღეს მონასტრის საკურთხეველია, ხოლო თვით ლოთს იორდანიდან უნდა ეზიდა მის სარწყავად წყალი.

ლოთის მოძღვარს გულს ჩათქმული ჭქონდა: თუ ეს სამი სხვადასხვა ჯიშის ნერგმა იხარა, ეს იქნებოდა ნიშანი, რომ ღვთაებამ ლოთს შეუნდო შეცოდებანი.

გავიდა დრო... არამც თუ ნერგებმა იხარეს არამედ ისენი შეერთდნენ და ერთ უზარმაზარ ხეთ გაიზარდნენ. ამით ღმერთმა აქცნო, რომ ლოთს მიუტევა შეცოდებანი.

ლეგენდარული ისტორია აგრეთვე გვამცნობსო, — განაგრძობს დრ. ვარდი, რომ სოლომონმა მოინდომა ამ ხის აღშენებლობისათვის გამოყენება, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და მოჭრილი ხე იქვე დაადგა, რომელსაც ფშნდა ადგილის მნახველები დასასვენებლად იყენებდნენ. გადმოცემით, თითქოს, სწორედ ეს იქნა გამოყენებული ჯვარის გასაკეთებლად, რომელზედაც მაცხოვარი აცვეს.

ლეგენდა აგრეთვე ამბობს, რომ მეფე ვახტანგ გორგასალმა სწორედ იმ ადგილას აიგო ჯვარის მონასტერი, სადაც ის ხე მოსწყრეს...

თანამერთოოვე სპეციალისტების აზრით, მონასტერი აშენებული უნდა იყოს მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში. ამასვე იზიარებს დრ. ვარდი (630 წ.).

მეთერამეტე საუკუნიდან იწყება საქართველოს ადმავლობა და მისი გავლენა, განსაკუთრებით გაძლიერდა შუა აღმოსავლეთში. ბუნებრივად ყურადღება მიიპყრო პალესტინის ჯვარის მონასტერმაც. სადაც საქართველოს მესაჭეთა ხელის შეწყობით ჯ ვ ა რ ი ს მონასტერი გადაიქცა ქართული მეცნიერების ცენტრად.

ქართველებმა პალესტინაში განსაკუთრებულ უპირატესობას მიაღწიეს თამარის დროს. ამავე ეპოქას ეკუთვნის ჩვენი უკვდავი შოთას მოგზაურობა, რომელმაც გულუხვი შეწირულებით განაახლა მონასტერი.



მონგოლების შემოსევამ შეაჩერა მონასტრებისადმი დახმარება, თუმცა, — დრ. ვარდის აზრით, ამ პერიოდშიც არ შეჩერებულა კულტურულ-მეცნიერული მუშაობა.

14-15 საუკუნოებში საქართველომ კვლავ აღიდგინა თავისი პრესტიჟი და დიდი ყურადღება მიაქცია უცხოეთში არსებულ მონასტრებს. კვლავ გაჩაღდა კულტურულ-მეცნიერული მუშაობა, რომელსაც დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს მთავრობა. იმ ეპოქაში საქართველელ წარდგენილი იყო ერთად ერთ მართლმადიდებელ ეკლესიის ძლიერ და გავლენიან მფარველად.

საუკუნეებზე, 15-ტე საუკუნიდან იწყება საქართველოს ძნელბედობა. გამუდმებელმა ომებმა, გამარჯვება გამარცხებებმა, ხელიდან გამოვეცალეს ჩვენი ეროვნული კულტურის ცენტრები და თანდათანობით მას დაეუფლა ბერძნული ეკლესია.

როგორც ბ-მა თ. ბაგრატიონმა გადმოგვცა, ბერძნებს განზრახული აქვთ მონასტრის დაზიანებული ნაწილის შეკეთება და შეღებვა. ამგვარად ჯვარის მონასტერში წაიშლება ქართული მოღვაწეობის ის მცირედი კვალიც, რომელიც. მკრთალად, მაგრამ მაინც დღევანდლამდე არსებობდა.

საქართველოს ახალგაზრდობას

(ცნობა საფრანგეთის ყოველ დღიურ ჟურნალ გაზეთებიდან)

Un groupe de jeunes nationalistes dynamite le monument érigé en l'honneur des „libérateurs" russes de la Georgie en 1921.

მაისი იმარჯვებს,
ბავშვთა განთიადი
წითელ სამოსელში
იარაღს იმარჯვებს.
იმ მარჯვენას გაუმარჯოს
ვინც ძეგლი აიფეთქა —
ძეგლი სამარცხვინო
მაისის წლის თავზე.
მაისი თამარის,
მაისი რუსთაველის,
მაისი მამულის
დედა და დიდება,
დრო მიდის — დრო მოდის
თავისუფლება
თვით ხალხის ნათესი
მზეს ისხამს იზრდება.
წითელო აკენები იზრდეთ
თამარის, ილიას
და ვაჟას მიწაზე,
სიფრთხილე
სიფრთხილე შვილებო
თქვენა ხართ სამშობლოს დიდება —
თქვენა ხართ მომავლის სიახლე.
სიცოცხლე სათუთად ინახეთ,
1973-2-5 პარიზი. **გ. ყიფიანი**

***

ქართველის დედის სიზმარი

უძღვნი ძია მ...

სიზმარს ხედავს ქართველის დედა,
ძილში ბორგავს, სახეს იხოკს,
ეს რას ხედავს — მისი შვილი,
სიკვდილს ებრძვის... გრძნეულ სიკვდილს.

აგონდება ჩვილი ბავშვი
ნაკურთხ ძუძუს რომ აკმევდა
სიყვარულში ჩაფლულ სხეულს
ბუნებაც რომ ამინს სცემდა.

გაიზარდა, დავაჟკაცდა,
აყვავდა და გაიხარა,
ღმერთიც მოსიყვარულეა,
ღირსი არის ეს პატარა.

მაგრამ ვაჟკაცს ესე დღენი
დაკვლილ ჭქონდა თურმე ტკბილი,
რკინის ბორკილი დაადვეს
აღარ უჩანს დასასრული.

თემდასაც თითქოს თვლემავს,
დაუკანგდა ის სასწორი,
ვაჟი იბრძვის სულსა ღაფავს,
სიმწრის ცრემლებს ჩუმად ყლაპავს.

მაგრამ სჯერავს ახალგაზრდას,
რომ ზაფხული ისევ მოვა,
ჯაჭვებს არხევს, აზანზარებს
გასაწყვეტი ცოტა რჩება.

დედას თავზე დაათენდა,
თვალს არ ახელს, ეშინია,
თავის შვილს სთხოვს — ადე შვილო,
ვეფაცვალე დაგათენდა.

ბიჭი დგება, დედას მოხვევს
ძლიერ მკლავებს, ნაზად მხრებზე,
ანუგეშებს: ტკბილო დედი,
სიზმარ გაჭკნა, მე კი მღვიძავს.

მალე ნახავ ნათელ დილას,
ქართველის ცაზე ცისარტყელას,
ყველა მოვა, ვისაც ასოოს
შენი ტკბილი იავნანა.

გურამ ჯანაშვილი

G. A. Press

ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Mr. G. Djakeli
535 E. 78 Street,
New York, N. Y. 10021

ამავე მისამართიდ უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.
EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, Dr. G. Gabliani.
752 Broadway
New York, N. Y. 10003
Tel. 473-0240